2022 წელს განხორციელებული ღონისძიებები, სტუდენტთა და პედაგოგოთა მიღწევები

თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის სტიპენდია

2022 წლის 15 აპრილს შედგა დაჯილდოების ცერემონია სასტუმრო „მოქსში“ - სტუ-ს არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი გიორგი გოგავა თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის სტიპენდიანტი გახდა

2022 წლის 17 ოქტომბერს თამაზ ბექაიას ფონდის სტიპენდიანტი გახდა მე-3 კურსის სტუდენტი გვანცა ხელაძე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამი ფაკულტეტის ყველაზე მაღალრეიტინგული სამი სტუდენტი თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის სტიპენდიანტი გახდა,მათ შორის ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტი გვანხა ხელაძე.

სტიპენდია საზეიმო ვითარებაში გადასცეს თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის დირექტორმა ლევან ბექაიამ და პროექტების ხელმძღვანელმა გოგა ჩანადირმა სასტუმრო „მოქსიში“. მათ სტუდენტებს სამომავლო წარმატებები უსურვეს. საგანმანათლებლო ფონდის წარმომადგენლები

სტიპენდიანტებს, პრემიის მფლობელებსა და შეკრებილ საზოგადოებას სასტიპენდიო პროგრამის მიზნებზე, მნიშვნელობასა და სამომავლო პროექტებზე ესაუბრნენ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის სტიპენდიანტები გახდნენ 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში უმაღლესი აკადემიური მოსწრების მქონე ბაკალავრები: სამშენებლო ფაკულტეტიდან - დავით კუჭუხიძე; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტიდან - გვანცა ცხადაძე; აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტიდან - თამარ შამათავა. სამივე სტუდენტს, საშემოდგომო სემესტრის მანძილზე, საგანმანათლებლო ფონდი ყოველთვიურ სტიპენდიას 300 ლარის ოდენობით გადასცემს.

„ორმაგად სასიხარულოა, როდესაც სტუდენტების შრომა და წარმატება არა მხოლოდ უნივერსიტეტში ფასდება, არამედ მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის მათ დამოუკიდებლად მოქმედი საგანმანათლებლო ფონდი სტიპენდიასა და სპეციალურ პრემიას გადასცემს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ერთ-ერთ წარმატებული უმაღლესი სკოლაა, რომელიც საინჟინრო-ტექნოლოგიურ, ასევე, ჰუმანიტარულ დარგებში მაღალპროფესიონალ სპეციალისტებს ამზადებს. ჩვენი სტუდენტების მიერ მოპოვებული ჯილდოები მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა მათთვის, მით უმეტეს, რომ ისინი სახელმწიფო სტიპენდიანტებიც არიან. ეს უდიდესი მოტივაციაა, როგორც მათთვის, ასევე, სხვა ახალგაზრდებისთვისაც, რომ კიდევ უკეთ ისწავლონ, იშრომონ, ღირსეულად დასაქმდნენ და უნივერისტეტში შეძენილი ცოდნა ჩვენი ქვეყნის განვითარებას მოახმარონ. მინდა მადლობა გადავუხადო თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდს და წარმატება ვუსურვო ჩვენს სტუდენტებს“, - აცხადებს სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თამარ წერეთელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდი პრიორიტეტული ფაკულტეტების უმაღლესი აკადემიური მოსწრების მქონე ბაკალავრებს, სემესტრულად, წამახალისებელ, ყოველთვიურ სტიპენდიას გადასცემს.

სტუდენტური დღეები - 2022 წ.

2022 წლის 6 აპრილს გაიმართა სტუდენტური დღეები. ჩვენი ფაკულტეტის ფრენბურტის გოგონათა გუნდი გამარჯვებული გახდა.

არქიტექტორ ოთარ ნახუცრიშვილის პერსონალური გამოფენა

2022 წლის 6 აპრილი მოეწყო სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ღვაწლმოსული პედაგოგის, პროფესორის არქიტექტორ ოთარ ნახუცრიშვილის პერსონალური გამოფენა საქართველოს არქიტექტორთა კავშირში. გამოფენის გახსნაზე შედგა საინტერესო დისკუსია ხურითმოძღვარსა და სტუდენტებს შორის.

„დომუს საქართველოს“ პრეზენტაცია

2022 წლის 15 აპრილს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ფოიეში მოეწყო „დომუს საქართველოს“ პრეზენტაცია და საჯარო ლექცია „თელავივის ბაუჰაუზის მემკვიდრეობა“.

პრეზენტაცია წარადგინა თბილისის არქიტეტურის, დიზაინის და კრეატიული ინდუსტრიული ცენტრის დამფუძნებელმა არქიტექტორმა ლენა კილაძემ.

საჯარო ლექცია - „თელ ავივის ბაუჰაუზის მემკვიდრეობა“ ლექცია წაიკითხა თელავივის ბაუჰაუზის ცენტრის დირექტირმა პროფესორმა მიხა გროსიმ. ლექციაზე მიხა ფროსმა ისაუბრა ისრაელში ბაუჰაუზის მემკვიდრეობაზე და თეთრ ქალაქზე, რომელიც იუნესკომ მემკვიდრეობის დაცვის სიაშია.

ყიფშიძის ქუჩაზე არსებული ვითარების მიმოხილვა და მოსაზრებები - ერთობლივი პროექტი სტუდია „არსთან“ ერთად. არქ. ირაკლი როსტომაშვილი, დ. აბულაძე

16 იანვარი - 16 მაისი . პროექტში მონაწილეობა მიიღეს სტუ-ს არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მე-2 კურსის ბაკალავრიატის სტუდენტებმა: ნიკა შარვაძე, ლუკა ნოზაძე, ნუკრი ქარდავა და თეკლა ჩხიტუნიძე.

საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი - ვასილ ქობულია

2022 წლის 4 მარტს საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის წოდება მიენიჭა სტუ-ს ასოცირებულ პროფესორს არქიტექტორს ვასილ ქობულიას.

პროექტი - „ფოთის ახალი სისცოცხელე - 2022 წ.“

პროექტი - „ფოთის ახალი სისცოცხლე“ დასაწყისი 2022 წლის 28 თებერვალი დასრულება 2022 წლის 15 ივლისი. პროექტი შესრულდა ფოთის მუნიციპალიტეთან გაფორმებული მემურანდუმის ფარგლებში - ქ. ფოთში 9 აპრილის გამზირის მიმდებარედ

არსებული საბჭოთა პერიოდის საცხოვრებელის სახლების ფასადების რეაბილიტაცია. პროექტში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრიატის მე-4 კურსის სტუდენტებმა და პირველი კურსის მაგისტრანტებმა: ხელმძღვანელები ნინო იმნაძე, ბესარიონ ტატიშვილი და ბელა თინიკაშვილი. ამავე პროექტის ფარგლებში შესრულდა ფოთის აეროპორტის პროექტი - ხელმძღვანელი ზაზა სვანიძე, ახალგაზრდობის ცენტრი - ხელმძღვანელი ნოდარ ბუზალაძე და ფოთის ცენტრალური პარკის პროექტი - სამაგისტრო დამამთავრებელი ნაშრომი, ხელმძღვანელი ნუგზარ ხვედელიანი.პროექტების განხილვა და გამოფენა მოეწყო სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ფოიეში. განხილვას დაესწრნენ ფოთის მუნიციპალიტეტის



სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია: „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“

2022 წლის 30 - 31 მაისს დისტანციურად ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“. სამუშაო ენა: ქართული, ინგლისური. კონფერენციაში მონაწილეობა მიირეს, როგორც დოქტორანტებმა ასევე პედაგოგ - მასწავლებლებმა და მოწვეულმა სტუმრებმა. სულ: 12 გამომსვლელი. კონფერენცია ჩატარდა სტუ-ს 100 წლის იუბილეს ფარგლებში. მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ნინო იმნაძემ. კონფერენციის მონაწილეებს მიულოცა 100 წლის იუბილე და წარმატება უსურვა გამომსვლელს. განხილული იყო არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის საკითხები. დოქტორანტმა ნინო ალექსიძემ წარმოადგინა თემა: ,,ლადო ალექსი-მესხიშვილის თემები მხატვრობაში“, ხელმძღვანელი პროფესორი მაია დავითაია, დოქტორანტი - გიორგი ქართველიშვილმა ისაუბრა თემაზე: „საბჭოთა პერიოდის თბილისში გამქრალი რელიგიური ნაგებობების კვლევა-ანალიზი ისტორიულ ასპექტში“, ხელმძღვანელი პროფესორი მ. დავითაია; დოქტორანტებმა ნიკოლოზ ლეკვეიშვილმა და ნანა ლეკვეიშვილმა არქიტექტორებტან მალხაზ ლეკვეიშვილთან, გიორგი მიქაძესთან და პროფესორი - ნინო ჩაჩავაძესტან ერთად წარმოადგინეს „ისტორიული ქალაქის რეკონსტრუქციის თანამედროვე ციფრული სისტემების ჭკვიანი პლატფორმები“. დოქტორანტმა ლალი გერსამიამ ისაუბრა ქ. ფოთის უხილავ ღირებულებებზე, ხელმძღვანელი ნ. ჩაჩავა; პროფესორმა თინათინ ჩიგოგიძემ ისაუბრა თემაზე: „მულტიმედიური პროექტირების საწყისები და განვითარება არქიტექტურის, ურანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე“, მოწვეულმა პროფესორმა გიორგი ყიფიანმა განიხილა სივრცითი მოწყობის, ქალაქგეგმარების, არქიტექტურის ზოგიერთი საკითხი; ასოც. პროფესორი ქეთი სალუქვაძე ისაუბრა ისეთ საკითხზე, როგორიცაა ქიმია და არქიტექტურა; მოწვეულმა სტუმრებმა არქიტექტორებმა დავით მესხმა და მალხაზ ლეკვეიშვილმა პროფესორ ნინო ჩაჩავასთან ერთად წარმოადგინეს თავიანთი კვლევითი პროექტის შედეგები და აქტუალობა. თემა ეხებოდა

არქიტექტურული კვლევის ასპექტებს საკონსერვაციო-გამაგრებითი სამუშაოების დაგეგმვაში; კონფერენციაში ლისაბონიდან დისტანციურად ჩაერთო არქიტეტორი გიორგი იოსებიძე, რომელმაც პროფესორ მაია ძიძიგურთან ერთად წარმოადგინა თემა: ურბანულ-არქიტექტურული სცენოგრაფია;ასოც. პროფესორებმა თამარ ჩუბინიძემ და თამარ ჭანტურიამ წარმოადგინეს თემა: „სააგარაკე სახლების განვითარების ტენდენციები მიმდინარე უცხოურ და ქართულ არქიტექტურაში“; მოწვეულმა სტუმრებმა ასოცირებულმა პროფესორმა დარეჯან ცუცქირიძემ და ასისტენტ-პროფესორმა ნინო ჟიჟილაშვილმა ასოცირებულ პროფესორთან ნათია ქოჩლაძესთან ერთან ისაუბრეს საქართველოში ღია საგანმანათლებლო რესურსების (ღსრ) მიმდინარე განვითარებაზე.

წარმოადგენილი მოხსენებებით დასრულდა კონფერენციის პირველი დღე და გაგრძელდა 31 მაისს. კონფერენციას უკვე აქტიურად შემოუერთდენ უცხოელი გამომსვლელები. მათ შორის აზერბაიჯანის სამშენებლო - არქიტექტურის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი - ფარიდა გასიმოვა სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა სივრცის ფორმირება და პერსპექტივები ჯავიდის გამზირზე, ბაქოში; ლისაბონის უნივერსიტეტის პროფესორი - ანტონიო კასტელბრანკო ცვლილებები არქიტექტურულ განათლებაში კოვიდის შემდგომ პერიოდში; პროფესორი, ფრანჩესკო ადორნი არქიტექტურა და პასუხისმგებლობა;ქეთი აბაშვილი, ხელმძღვანელი - პროფესორი მერაბ ახობაძე - ალგორითმი და მეთოდიკა ქალაქის ეკოლოგიური მდგრადობისათვის; დოქტორანტი - თამრიკო გირკელიძე

ხელმძღვანელი - პროფესორი ლევან ბერიძე - მინის ფასადები მაღლივი შენობების არქიტექტურაში; დოქტორანტი - ნაია ენდელადძე ხელმძღვანელი პროფესორი - ვანდა მუჯირი „თანამედროვე სამუზეუმო არქიტექტურის ესთეტიკა”; დოქტორანტი - დავით ნიკოლაიშვილი ხელმძღვანელი - გოჩა მიქიაშვილი - ამერიკაში მიმდინარე სუბურბანიზაციის პროცესის განსაკუთრებული ასპექტები;

დოქტორანტი - გიორგი ქართველიშვილი ხელმძღვანელი - პროფესორი მაია დავითაია - საბჭოთა პერიოდის თბილისში გამქრალი რელიგიური ნაგებობების კვლევა-ანალიზი ისტორიულ ასპექტში;

დოქტორანტი - ჭკადუა ლუკა ხელმძღვანელი პროფესორი გია ნაცვლიშვილი - ბრაუნფილდების არსებობის პრობლემა თბილისში; პროფესორი, მაია დავითაია - არქიტექტურის რეპრეზენტაცია;

პროფესორი - მედეა მელქაძე - არქიტექტურული თეორიისა და პრაქტიკის ჰარმონიზაცია-სინქრონიზაციის პროცესი ეპოქალურ ჭრილში; დოქტორანტი - ნატო ალთუნაშვილი,

ხელმძღვანელი - ნინო ჩაჩავა - მდგრადი მუნიციპალური განვითარების ასპექტები.

ნიკოლოზ ლეკვეიშვილი - სამუშაო სივრცეების ადაპტაცია ტექნოლოგიებთან და ცხოვრების წესთან.

ამროგად, დასრულდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.







2022 წლის 6 აგვისტო - სამაგისტრო დამამთავრებელი ნაშრომების დაცვა

2022 წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულების გაცილება

2022 წლის 16 ივლის მოეწყო ქ. ფოთის 9 აპრილის ხეივნის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის პროექტების განხილვა.

"ფოთი-2022" პროექტში მონაწილეობა მიიღეს არქიტეტურის ფაკულტეტის 3, 4 კურსის ბაკალვრებმა და პირველი კურსის მაგისტრანტებმა! დიდი მადლობა თვითოეულ სტუდენტს და მათ მენტორებს: ბესო ტატიშვილს, ბელა თინიკაშვილს, ზაზა სვანაძეს, მედეა მელქაძეს და ბატონ ავთანდილ დიღმელაშვილს!

ფოთში არსებული 9 აპრილის ხეივნის მინდებარედ არსებული ე.წ."ხრუშოვკების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია,ხეივნის საზოგადოებრივ სივრცედ გარდასახვა, ახალგაზრდობის ცენტრის და აეროპორტის პროექტები-დღეს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შედგა სტუდენტური პროექტების პრეზენტაცია და გამოფენა. პროექტის "ფოთი-2022 " განხილვას დაესწრნენ ქალაქ ფოთის მერის მოადგილე ბატონი დავით კვიციანი, ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თ. კირთაძე და საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ბესიკ მაშავა, შეხვედრის ბოლოს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმი.

2022 წლის 24 ივნისი - გრაფიკული პროგრამების შესწავლის საქველმოქმედო ონლაინ ვორქშოპი.

სტუდენტთა მიღწევები

2022 წლის 20 მაისი თბილისის რკინიგზის სადგურის მოედანი - პროექტი და გამარჯვებული გუნდის დაჯილდოება თბილისის საკრებულოში.

არქიტექტურის საერთაშორისო ფესტივალი - 2022 წ. 31 ივლისი

არქიტექტურული პრემია - 2022 წ.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიღწევები

ნომინაცია: „სტუდენტური პროექტი“

„ცენტრალური რკინიგზის სადგურის რეაბილიტაციის პროექტი“ მდებარეობა: სადგურის მოედანი, თბილისი, საქართველო. ავტორები: „ჰიპოდამესი“ - მარიამ გოგოჩიშვილი, სანდრო

ნავროზაშვილი, ანი ბურდული, თამთა კუპრაძე. სტუ-ს არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, ხელმძღ. პროფესორი მერაბ ბოლქვაძე

საერთაშორისო კონკურსის გენერალური სპონსორის კომპანია „დემასის“ სპეციალური პრიზი თავისი ფავორიტი პროექტისთვის ნომინაციაში: „სტუდენტური პროექტი“ გადაეცა სტუდენტ სანდრო ნავროზაშვილს პროექტისტვის: „საცხენოსნო კომპლექსი სამცხე-ჯავახეთში“ ხელმძღ. მამუკა ბარათაშვილი.

ნომინაცია :“არქიტექტურული პროექტი“ ; საუკეთესო ნომინანტი: „სასტუმრო კომპლექსი შაორის ტბაზე“ გადაეცათ სტუ-ს არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს: კოლაბორაცია „ალტერტოპოს“და „ედრეს“ - სალომე გუგუნავა, ნოდარ კვანჭიანი, ბექა ბიწაძე, ელენე მაჩაიძე, გიორგი მაისურაძე, მარიამ შაიშმელაშვილი, გიგა ქარელი.

სხვადასხვა ნომინაციებში ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა მიიღეს ჯილდოები: შორენა წილოსანი, ნინო მანჯავიძე, გოგი სულაბერიძე, გურამ ლიპარტელიანი, მერაბ გუჯეჯიანი, პავლე მაისურაძე

პროექტი: „ხუდადოვის ტყე-პარკის განვითარების პროექტი“ ავტორები: ა. ნავროზაშვილი, მ. გოგოჩიშვილი, ა. ბურდული, თ. კუპრაძე. ხელმძღვანელი არქიტექტურის დოქტორი, თბილისის გენ-გეგმის ავტორი, პროფესორი მერაბ ბოლქვაძე

სტუდენტების მიერ მომზადებული საპროექტო წინადადება „ხუდადოვის ტყე-პარკის განვითარების პროექტი“ წარდგენილი იყო თბილისის საკრებულოში და თბილისის მერიაში.

2022 წლის 23 სექტემბერს შედგა შეხვედრა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარესთან ბატონ რევაზ სოხაძესთან. შეხვედრაზე სტუდენტებმა გააკეთეს პროექტის პრეზენტაცია და ისაუბრეს კონცეფციაზე. პროექტმა დიდი დაინტერესება დაიმსახურა. იყო შეკითხვები, რეკომენდაციები და შენიშვნები.

სერჟი პონტუაზის კონკურსი - ვორქშოფი

ვორქშოფში მონაწილეობა მიიღო პირველი კურსის მაგისტრანტმა თიო გაბუნიამ

ვორქშოფი ეხებოდა ილ-დე-ფრაბსის რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილის და მასთან დაკავშირებულ ქალაქგეგმარებით, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს.

ვორქშოფი ჩატარდა საფრანგეთში, Cergy-Pontoise-ში, 2022 წლის 5-დან 23 სექტემბრამდე.

ვორქშოფის მონაწილე თეიმურაზ გაბუნია: მონაწილეობას ვიღებდით როგორც არქიტექტორები და ურბანისტები, ისე ეკონომისტები, სოციოლოგები, და ა.შ. ჩვენი 5 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფის პროექტი ფოკუსირებული იყო ძირითადად ლოჯისტიკაზე და ეკოლოგიაზე. პროექტის მთავარი წინადადებები იყო:

- მდინარის გამოყენებით ახალი ლოჯისტიკური ჯაჭვის შექმნა.

- ახალი ლოჯისტიკური ცენტრების მოწყობა.

- საფეხმავლო გზების და მწვანე ზონების მოწყობა.

- მულტიმოდალური მოძრაობის კერის მოწყობა.

- არსებული საწყობი და ტექნიკური შენობების რენოვაცია.

სულ იყო 3 5-კაციანი ჯგუფი და პროექტები ბოლოს წარმოვუდგინეთ პროფესიონალების, პოლიტიკოსების და მკვლევარების აუდიტორიას. ვორქშოფს არ ჰქონდა კონკურსის სახე, უბრალოდ განიხილეს სამივე პროექტი იმ მიზნით, რომ იდეები აქედან აეღოთ და შემდეგ ნაწილობრივ მაინც შეძლებისდაგვარად განეხორციელებინად.



შეხვედრა თბილისის მერთან ბატონ კახი კალაძესთან.

2022 წლის 6 ოქტომბერს დედაქალაქის მერი კახა კალაძე, ვიცე-მერ ირაკლი ხმალაძესთან ერთად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებს, ამავე ფაკულტეტის დეკანს ნინო იმნაძესა და თბილისის გენერალური გეგმის ერთ-ერთ ავტორს, პროფესორ მერაბ ბოლქვაძეს შეხვდა. შეხვედრის მონაწილეებმა თბილისის მერს ხუდადოვის ტყის გაჯანსაღება-მოწესრიგებასთან დაკავშირებით, ახალგაზრდების მიერ შექმნილი კონცეფცია გააცნეს. თავის მხრივ, კახა კალაძემ მზაობა გამოთქვა, აღნიშნული ინიციატივა მიიღოს და სტუდენტებთან ერთად, ტყე-პარკის განახლების პროექტი განახორციელოს.

შეხვედრაზე თბილისის მერმა სტუდენტებს დედაქალაქში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები გააცნო. განსაკუთრებული ყურადღება კი გამახვილდა გამწვანების სამუშაოებზე, მწვანე სივრცეებზე, ქალაქის ლანდშაფტური არეალის დაცვაზე, ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისკენ გადადგმულ ნაბიჯებზე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლებასა და სატრანსპორტო სისტემაში დაგეგმილ რეფორმაზე.

„ბევრმა ადამიანმა იცის ჩვენი დამოკიდებულება მწვანე სივრცეებთან, პარკების განახლება-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. ეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა ის ინიციატივა, რომელიც თქვენგან მივიღეთ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ რას ეხება საქმე - ეს არის ახალგაზრდების ინიციატივა, რომელიც ხუდადოვის ტყის განახლებას, რეაბილიტაციასა და მოწესრიგებას გულისხმობს. სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, კონკრეტული პროექტი წარმოადგინონ, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული ტერიტორიის განვითარება. ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ახალგაზრდები ქალაქისთვის ასეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ერთვებიან. ჩვენ ერთად უნდა დავისახოთ კონკრეტული გეგმები, თუ რა უნდა გაკეთდეს და რა უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯი. დედაქალაქის მერია გამოთქვამს მზადყოფნას, აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადაგიხადოთ ყველას. იცოდეთ, რომ მაქსიმალურად დაგიდგებით გვერდში და მხარს დაგიჭერთ“, - განაცხადა კახა კალაძემ.

თავის მხრივ, პროფესორმა მერაბ ბოლქვაძემ თბილისის მერსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს სტუდენტების ინიციატივის გაზიარებისა და მზაობისთვის - მხარი დაუჭიროს აღნიშნული პროექტის განხორციელებას, მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა ხუდადოვის ტყის ტერიტორია გულდასმით შეისწავლეს და მისი გადარჩენისა და გაჯანსაღების კონცეფცია შეიმუშავეს. „მათ გადაწყვიტეს, რომ ამ ტერიტორიას სასწრაფოდ სჭირდება შველა, რათა ქალაქმა მსგავსი რეკრეაციული სივრცე არ დაკარგოს. ამიტომ, კვლევას და ტერიტორიის ანალიზს პროექტის სახე მისცეს და განსახილველად წარმოადგინეს. ძალიან კარგია, რომ თავად მერი და მერიის შესაბამისი სამსახურები ამ მნიშვნელოვანი გარემოებით დაინტერესდნენ. სტუდენტები ახლა მონაწილეობას მიიღებენ კონცეფციის დამუშავებაში, რაც მათთვის ძალიან სასიხარულოა“, - განაცხადა მერაბ ბოლქვაძემ. ამასთან, ფაკულტეტის დეკანის განმარტებით, სტუდენტების მთავარი ამოცანა იყო, რომ ყოფილიყო გამართული რეკრეაციული სივრცე, სადაც ნებისმიერი ასაკის ადამიანი საკუთარი ინტერესის სფეროს ნახავდა. „ასევე, საინტერესო იყო ლანდშაფტურ-არქიტექტურული კუთხით მუშაობა. რეალურად, თუ ეს პროექტი განხორციელდება, თბილისი მიიღებს საინტერესო ლანდშაფტურ-არქიტექტურულ ნიმუშს, რომელიც მხოლოდ გამწვანებული სივრცის მოწყობას არ გულისხმობს. ეს იქნება არქიტექტურით ფორმირებული ლანდშაფტი, რაც ძალიან აქტუალურია, მით უმეტეს, ჩვენი უნიკალური ქალაქისთვის. სტუდენტებმა მაქსიმალურად გაითვალისწინეს მწვანე არქიტექტურა, რომელიც პრიორიტეტული იყო მათთვის. ასევე, გაითვალისწინეს, რომ ეს ყოფილიყო საზოგადოებრივი სივრცე - ადგილი შეხვედრებისთვის; გათვალისწინებულია დიზაინერული ელემენტები - სკამების, ბავშვთა-გასართობი სივრცეების, პარკინგის საკითხი და ა.შ“, - აღნიშნა ნინო იმნაძემ.

შეხვედრას დედაქალაქის მერთან და ვიცე-მერთან ერთად, თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი გიგა გიგაშვილი ესწრებოდა.

შეხვედრის დეტალები იხ. ბმულზე:
https://tbilisi.gov.ge/news/13463?fbclid=IwAR2Mr98jWGrU2k0UmOYgsGWjENvxHIuG-_PUkmx_skF7DUHnhq_r_mdhhDU

2022 წლის 8 ნოემბერს

ხვალ, 9 ნოემბერს 16.00 საათზე არქიტექტურის,ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის 403 ც აუდიტორიაში შედგება "ხუდადოვის ტყე-პარკის განვითარების პროექტის" განხილვა. 2022 წლიდან ფაკულტეტი ჩაერთო აღნიშნულ პროექტში. ხელმძღვანელი და მომხსენებელი პროფესორი მერაბ ბოლქვაძე. პრეზენტაციას ასევე წარადგენენ კურსდამთავრებულები: ა.ნავროზაშვილი, მ. გოგოჩიშვილი, ა. ბურდული, თ. კიპრაძე. ფაკულტეტის ფოიეში შეგიძლიათ გაეცნოთ პროექტს. აღნიშნული პროექტი წარდგენილი იქნა თბილისის საკრებულოში და მერიაში. დიდი მოწონება დაიმსახურა, რამაც განაპიროფა ფაკულტეტის ჩართულობა საპროექტო წინადადების შემუშავებაში.

2022 წლის 16 ივლისი. მაგისტრანტი გვანცა ნორაკიძე - ინსპირელი ევარდის კონკურსის გამარჯვებულია, ხელმძღვანელი თენგიზ გოგოლაშვილი

ძველი საბჭოთა გარაჟის შენობის ტრანსფორმაციას ანტიკვარი მანქანების მუზეუმისა, საგალერეო და ქო-ვორქინგ სივრცეების სინთეზით INSPIRELI AWARD-ის გამოხმაურება მოჰყვა ბატონი თენგიზის ჟიურიში მიწვევის ინიციატივით.

სტუდენტური ნამუშევრების გამოფენა 2009 – 2022 წწ.

2022 წლის 7 ოქტომბერს სტუ-ს პირველი სასწავლო კორპუსის ფოიეში გაიხსნა არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მიეძღვნა სტუ-ს 100 წლის იუბილეს.



პლაკატის ავტორ: რატი მეფარიძე

გამოფენა გახსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა დავით გურგენიძემ. გამოფენას სტუმრობდნენ საიუბილეო კვირეულზე მიწვეული ქართველი და უცხოელი სტუმრები, სტუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

ექსპოზიციაზე, სტუდენტებმა სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონკურსებში გამარჯვებული პროექტები, მაკეტები, პოსტერები და ნამუშევრები წარმოადგინეს.

თბილისის საპატიო მოქალაქე - არქიტექტორი ვახტანგ დავითაია

2022 წლის თბილისის საპატიო მოქალაქე - საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, არაერთი საერტაშორისო ტუ ადგილობრივი კონკურსის გამარჯვებული, რუსტსველის პრემიის ლაურეატი, სტუ-ს ემირიტუსი, გ. ნიკოლაზის ორდენის მფლობელი ბატონი ვახტანგ დავითაია.

„მომავლის თანადასწრება - საჯარო პროგრამა“ - მოდერატორი დავით ბოსტანაშვილი

2022 წლის 22-23 ოქტომბერი. თბილისის ბიენალეს ფარგლებში ორი დღის განმავლობაში ჩატარდა „მომავლის თანადასწრება - საჯარო პროგრამა“; მოდერატორი და სპიკერი სტუ-ს არქტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ასოც. პროფ. დავით ბოსტნაშვილი, სპიკერი მოწვეული პროფ. ვლადიმერ ვარდოსანიძე.

საქართველოში არსებული სოციალისტური არქიტექტურული მემკვიდრეობა გლობალური კონტექსტიდან გამომდინარე საკულტო ნანგრევების სტატუსს იძენს, რაც თანხვედრაში მოდის პოსტსოციალისტური ქვეყნების არქიტექტურის მიმართ ზოგადად გაზრდილ ინტერესთან, რაც მათი უჩვეულო ფორმალური ნიშნებითა და იმითაა გამოწვეული, რომ ისინი „უტოპიური“ წყობის მატერიალურ ნარჩენებს წარმოადგენენ. ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე რთულია, მათ საკულტო ნანგრევები უწოდო. მით უმეტეს, რომ ამგვარი ნანგრევების სტატუსი მხოლოდ აკონსერვებს შენობას, ართმევს მომავალს, გადააქცევს მას მომხიბლავ ფოტოგამოსახულებად. ერთი რამ ცხადია – ეს შენობები ჯიუტად რჩებიან ჩვენს ქალაქში. მტკიცედ ნაგები რკინაბეტონის კონსტრუქციები ასე ადვილად დანგრევას არ დანებდებიან, ეკონომიკური მიზანშეწონილობა კი მათ მიმდინარე მდგომარეობაში დაკონსერვებას განაგრძობს. აქედან გამომდინარე, ახლო მომავალში, მათი ფიზიკური არსებობა თითქმის გარანტირებულია.
„მომავლის თანდასწრება“ – გვსურს, დისკუსიების სერია თბილისისა და ვიშეგრადის ქვეყნების ომის შემდგომი არქიტექტურის წარსულისა და მომავლის შესახებ სწორედ ამ სახელით გავხსნათ.

15:30
მრავლობითი წარსული, აწმყო, მომავალი: სოციალისტური მოდერნიზმის მემკვიდრეობა უნგრეთში - დანიელ კოვაჩი
რატომ არის ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებში ომისშემდგომი არქიტექტურის მემკვიდრეობის ბედი ასეთ ცუდ დღეში? რა აკავშირებს სხვადასხვა ქვეყნის ერთმანეთის მსგავს შენობებს ერთი მეორესთან, და არსებობს თუ არა რაიმე თავისებურება, რომლითაც ამ შენობების ბედი ერთმანეთს ებმის? უნგრულ, და სხვა საერთაშორისო მაგალითებზე დაყრდნობით, ეს პრეზენტაცია ცდილობს მოუძებნოს ახსნა-განმარტება იმ საფრთხეებს, რომლის წინაშეც, პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით დგას ომისშემდგომი 'საბჭოთა მოდერნიზმი'.
დანიელ კოვაჩი უნგრელი ხელოვნებათმცოდნე, კურატორი და არქიტექტურის კვლევის კოლექტივის, Translation of Modernism (Transmodern)-ის თანდამფუძნებელია. კოვაჩი ხელოვნების ისტორიას დაეუფლა ELTE-სა (ბუდაპეშტი) და La Sapienza-ში (რომი). 2010 წლიდან, დანიელი არის უნგრეთის თანამედროვე არქიტექტურის ცენტრის საბჭოს წევრი. 2015-2018 წლებში მუშაობდა Hungaricum-ის კოლეგიის პროგრამის დირექტორად ბერლინში, და 2019 წელს იყო დისცილპლინათაშორისი ღონისძიებების სერიის, Montag Modus (ბერლინი) თანა-კურატორი, ლენა შირმაი-კალოსთან და იასნა ლაიეს-ვინოვრშკისთან ერთად. 2021 წელს იყო უნგრული პავილიონის პროექტ Othernity-ს კურატორი ვენეციის მე-17 საერთაშორისო არტიტექტურის გამოფენაზე. ამჟამად კოვაჩი ბუდაპეშტში, უნგრეთის არქიტექტურის მუზეუმისა და მონუმენტთა დაცვის დოკუმენტაციის ცენტრში, 1945 წლის შემდგომი კოლექციის კურატორად მუშაობს.

23 ოქტომბერი
13:00
თბილისის ურბანული გარემოს ჩამოყალიბებაში „სოციალისტური" და „პოსტსოციალისტური" პრაქტიკების შედარება. რა დაგვრჩა ისტორიული დინების გაღმა? - ვლადიმერ (ლადო) ვარდოსანიძე, თამარ ხოშტარია
მოხსენება ეხმიანება კონფერენციის პროგრამის პირველ თემას (რუბრიკას) – „ისტორიული ამბების გახსენებას". მას საფუძვლად უდევს უნივერსალური პოსტულატი - თანამედროვე ურბანულ გარემოში ნებისმიერი ფუნქციის, პროცესის, მოვლენისა თუ ობიექტის სრულფასოვანი შეფასება შეუძლებელია მისი გამაპირობებელი კონტექსტების სიღრმისეული გათვალისწინების გარეშე.
ისეთ რთულ სისტემაში, როგორიც საქალაქო გარემოა, ეს კონტექსტები როგორც უშუალო, ისე გაშუალებული სახით მოქმედებს. ამ თვალსაზრისით, მოხსენებაში გაანალიზებულია „სოციალისტური" და „პოსტსოციალისტური" ბუნების, ხშირად პოლარული ორიენტაციის, ისეთი კონტექსტური ფაქტორები, როგორიცაა ქალაქგეგმარების იდეურ-პოლიტიკური დოქტრინები, სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები, კულტურულ-მემკვიდრეობითი ხედვები, მეთოდოლოგიურ-

მეთოდური ინსტრუმენტები და სხვა ამგვარი. ავტორების სუბიექტური პოზიციებიდან შედარებულია ურბანული წარსულის დანატოვარი და თანამედროვე ვითარება თბილისის ურბანულ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით. მოხსენება იფარგლება ქრონოლოგიური ჩარჩოთი - 1960-ანი წლებიდან დღემდე და ილუსტრირებულია რამდენიმე მეტყველი მაგალითით. შემოთავაზებულია თამამი მოსაზრება - თბილისის ისტორიული განვითარების დღევანდელი პრაქტიკების ეტაპს ეწოდოს „მომხმარებლური ეტაპი".

თამარ ხოშტარიამ დაამთავრა საქართველოს ტექსნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი და გახდა გერმანიის მთავრობის კარლ-დუისბერგის პროგრამის სტიპენდიანტი. გავლილი აქვს ბიზნეს-ეკონომიკისა და მარკეტინგის კურსი და მიღებული აქვს არქიტექტორად მუშაობის ნებართვა გერმანიაში. გახდა გერმანული საპროექტო ორგანიზაციის (Acerplan Plannungsgesellschaft MbH) წარმომადგენელი საქართველოში. მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაციებში: გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება GTZ; BP-სა და UNDP-ს პროექტები; ასევე, თანამშრომლობს ადგილობრივ ორგანიზაციებთან - „ინჟინრული აზრი", „გეოგრაფიკი", SDMI (სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტი) და სხვ. მოიპოვა ჰაინრიხ ბიოლის პროგრამისა და შოთა რუსთაველის სამეცნიერო სტიპენდიები. მიღებული აქვს მონაწილეობა კონფერენციებში უცხოეთში; გამოქვეყნებული აქვს სტატიები წამყვან საერთაშორისო ონლაინ გამომცემლობებში. აქვს საერთაშორისო ექსპერტის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება.

ლადო ვარდოსანიძემ არქიტექტურული განათლება მიიღო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და ქალაქთმშენებლობის ცენტრალურ ინსტიტუტში (ქ. მოსკოვი).

მუშაობდა თბილსკეპ-ის ქალაქგეგმარების განყოფილებაში; ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში; ინფრასტრუქტურისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მრჩევლად; წარმოადგენდა საქართველოს გაეროს ეკონომიკურ კომისიაში ევროპისათვის (UN ECE); იყო ჰაბიტატ-ჯორჯიას დირექტორი; ურბანისტთა საქართველოს ასოციაციის თავმჯდომარე; საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე; გერმანიის ქალაქთმშენებლობისა და რაიონული დეგეგმარების აკადემიის (DASL) წევრ-კორესპონდენტი, ურბანისტთა საერთაშორისო საზოგადოების (ISOCARP) ბიუროს წევრი. ამჟამად არის New City Development-ის ურბანისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი. არის მრავალი ქალაქგეგმარებითი პროექტისა და სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომის ავტორი. 1978 წლიდან, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, ძირითადად, სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე.

14:00

ხიდი შენობები. პრივატიზებული კავშირები და მათი როლი ურბანულ განვითარებაში - **ნიკოლოზ ლეკვეიშვილი**

რამდენად დიდია არქიტექტურის იდეოლოგია? რა ემართებათ შენობებს, როცა იდეოლოგია იცვლება?

ამ დისკუსიაში მსურს დავაკვირდე ხიდის შენობების იდეოლოგიას, რომელსაც ოთხი

სხვადასხვა დამაკავშირებელი ურბანული კუნძული ჰქონდა. და რა ემართებათ ურბანულ კუნძულებს, როდესაც თავად გზისა და ხიდის შენობები პრივატიზებულია. სამი ხიდის შენობა უერთდება რვა დასახლებას და ყველა მათგანი ნაწილობრივ პრივატიზებულია, რაც თავისთავად ქმნის ქალაქის უდიდესი უბნის ცხოვრების ალტერნატიულ სტილს.

ნიკოლოზ ლეკვეიშვილი დაიბადა თბილისში. არქიტექტორის განათლება მიიღო სტამბოლის მიმარ სინანის სახელობის ხელოვნების უნივერსიტეტში შემდგომ მილანის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში. მუშაობდა თურქეთში, გერმანიაში, ინდოეთში და იტალიაში. 2016 წელს დაარსა TIMM Architecture' და არის მთავარი არქიტექტორი. 2020 წლიდან ასწავლის მოწვეული ლექტორის სახით ილიას სახელობის უნივერსიტეტსა და სამხატვრო აკადემიაში.

FIABCI-Georgia-ს ჯილდო Prix d' Excellence Awards - "უძრავი ქონების ოსკარები".

2022 წლის 28 ოქტომბერს, სასტუმროში "პულმან თბილისი აქსის თაუერსი", საქართველოში პირველად, გაიმართა უძრავი ქონების საერთაშორისო ფედერაციის ქართული წარმომადგენლობის, FIABCI-Georgia-ს გალა-დაჯილდოება Prix d' Excellence Awards - "უძრავი ქონების ოსკარები".

თბილისის გენერალური გეგმის შემუშავებისთვის, "City Institute Georgia", ნომინაციაში "გენერალური გეგმა", საერთაშორისო ჟიურის მიერ დასახელდა "ოქროს გამარჯვებულად" და მიენიჭა "უძრავი ქონების ოსკარი".

გამარჯვებულ კომპანიებს და პროექტებს საშუალება მიეცემათ მონაწილეობა მიიღონ მსოფლიო დაჯილდოებაზე FIABCI World Prix d'Excellence Awards., რომელიც გაიმართება 2023 წლის 8 ივნისს, მაიამიში, აშშ.

საქართველოს ბანკის მხარდაჭერით რეგიონში პირველად FIABCI-Georgia Prix d' Excellence Awards გაიმართა არქიტექტურაში საერთაშორისოდ აღიარებული კრიტერიუმების მიხედვით გამარჯვებულები გამოვლიდნენ სხვადასხვა კატეგორიაში: საოფისე ფართი, მრავალფუნქციური, კომპლექსი, მდგრადი განვითარება, კურორტი, საშუალო სიმაღლის საცხოვრებელი შენობა, ენერგოეფექტური და მწვანე შენობა, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, დაბალსართულიანი, საცხოვრებელი შენობა, რესტორანი, სასტუმრო, გენერალური გეგმა.

FIABCI Prix d'Excellence-ის საერთაშორისო დაჯილდოების 30-წლიან ისტორიაში ქართული ფურცელი გადაიშალა. 28 ოქტომბერს, თბილისში, სასტუმრო ,,პულმან თბილისი აქსის თაუერსში" გაიმართა უძრავი ქონების პროექტების პირველი ეროვნული დაჯილდოება-FIABCI-Georgia Prix d'Excellence Awards 2022.

FIABCI-Georgia-ს ადგილობრივმა და საერთაშორისო ჟიურიმ პირველი ეროვნული Prix d'Excellence დაჯილდოების გამარჯვებულები გამოავლინა.

წარმოგიდგენთ უძრავი ქონების ოსკარების ოქროს და ვერცხლის გამარჯვებულებს:

1.დაბალსართულიანი საცხოვრებელი შენობები (5სართული და ნაკლები) - ოქროს გამარჯვებული - „კრწანისი რეზორთ რეზიდენსი“

2.საშუალო სიმაღლის საცხოვრებელი შენობები (5-დან 17 სართულამდე) - ოქროს გამარჯვებული - „დომუსი“

1.მდგრადი განვითარება - ოქროს გამარჯვებული - „მწვანე ქალაქი ლისზე“;

2. ვერცხლის გამარჯვებული - „მეამა“

1. კურორტი - ოქროს გამარჯვებული - „შუხმან ჯგუფი“;

2. ვერცხლის გამარჯვებული - ვილა რეზიდენსი“

ენერგო ეფექტური და მწვანე პროექტები - ოქროს გამარჯვებული - „თბილის ჰილსი“;

1.ვერცხლის გამარჯვებული - „დომუსი“
მრავალფუნქციური კომპლექსი - ოქროს გამარჯვებული - „აქსის თაუერსი“.

2.რესტორანი - ოქროს გამარჯვებული - „ეთნო წისქვილი“

სასტუმრო - ოქროს გამარჯვებული - ბუტიკური სასტუმრო „მანინო უწერა“;



ვერცხლის გამარჯვებული - შუხმან ვაინს შატო და სპა
საოფისე ფართები - ოქროს გამარჯვებული - „მეამა“;

ვერცხლის გამარჯვებული - „აქსის თაუერსი“

საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა - ოქროს გამარჯვებული - ბათუმის სტადიონი, კომპანიები „სიემსი“ და „ანაგი“

გენერალური გეგმა - ოქროს გამარჯვებული - „თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა“;

ვერცხლის გამარჯვებული - „მწვანე ქალაქი ლისზე“.

ეროვნულ დონეზე შერჩული პროექტები ჟიურის ადგილობრივ წევრებთან ერთად, სფეროს წამყვანმა ექსპერტებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან გამოავლენეს. გამარჯვებულები მონაწილებას მიიღებენ საერთაშორისო დაჯილდოებაში FIABCI World Prix d'Excellence Awards.

„უძრავი ქონების ოსკარები“ ჩატარდა “საქართველოს ბანკის”, “გალტ ენდ თაგარტის” და “დიჯითალ არეას” მხარდაჭერით. ღონისძიების სპონსორები გახლდნენ: „თეთრი კვადრატი“-ვერცხლის სპონსორი, „ალიანს ჯგუფი“, „აზიისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნეს პალატა“ და „გრინ საიდი.“
პარტნიორთა შორის ასევე იყვნენ: Colliers Georgia, Expo Georgia და „საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაცია (GNARE).

„ნანგრევის პოეტიკა“ - ამ სთაურით ჩაატარა ორი ლექცია ამსტერდამის რიტველდის აკადემიის სტუდენტებთან სტუ არქიტექტურის ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა დავით ბოსტანაშვილმა, რომელიც ასევე ხელმძღვანელობს ფაკულტეტზე 1990 წლიდან მოქმედ სტუდია-სახელოსნოს „არქიტექტურის პოეტიკა“.

2022 წლის 6 სექტემბერს საქართველოში ჩამოვიდა ამსტერდამის რიტველდის აკადემიის 24 სტუდენტი. გრაფიკული დიზაინის სტუდენტების სასწავლო კურსი ითვალისწინებს გასვლით ვიზიტებს სხვადასხვა ქვეყანაში. ამჯერად რიტველდის აკადემიის პროგრამა მიმდინარეობს საქართველოში. პროგრამის ადგილობრივი ხემძღვანელია ამავე აკადემიის კურსდამთავრებული, საქართველოში მოღვაწე ხელოვანი თემურ ახმეტოვი.
პროგრამის პირველი ნაწილი ითვალისწინებდა 3 კვირიან ვორკშოპს გურიის რეგიონში. ჩოხატაურის რაიონის სოფელი ხევის ძველი საჯარო სკოლისგან შემორჩენილი ოთხი კედელი აგებულია ამავე სოფელში საბჭოთა მმართველობის პერიოდში დანგრეული ძველი ეკლესიის ქვებით. ნანგრევს სოფლისთვის დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვს რადგან ინახავსადგილის მეხიერებას. სოფლის მოსახლეობა უფრთხილდება და დაშლისგან იცავს სკოლის ეზოში მდებარე ნანგრევს. პროგრამის ხელმძღვანელების - თემურ ახმეტოვის და ხელოვნების კურატორის ნინო ახვლედიანის - კონცეპციის მიხედვით, სტუდენტებს უნდა დაენახათ ნანგრევის მნიშვნელობა სოფლისთვის და დაეტოვებინათ ნამუშევარი, რომელიც ნანგრევის ტრანსფორმაციით ახალ საინტერესო ადგილს შექმნიდა სოფელ ხევში.
ნანგრევის კულტუროლოგიური მნიშვნელობის შესახებ დ. ბოსტანაშვილის მიერ ჩატარებული არქიტექტურის პოეტიკის ლექციის შემდგომ სტუდენტებმა დაიწყეს ნანგრევის პოტენციალზე და ტრანსფორმაციაზე ფიქრი. წყვილი „ნაშენი / ნანგრევი“ სტუდია „არქიტექტურის პოეტიკის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. სტუ-ს პროფესორი სწორედ ამ ნიშნით იყო მოწვეული თანამშრომლობისთვის. მომხსენებელმა ლექციებზე სტუდენტებს გააცნო სტუდია „არქიტექტურის პოეტიკის“ ისტორია და ფილოსოფია, ცნება „ნანგრევის“ კულტურული საზრისი და არქიტექტურული მნიშვნელობა.
ნანგრევის სივრცე დაფარული იყო გაუვალი სარეველა მცენარეებით. სტუდენტებმა საკუთარი ძალებით გაასუფთავეს სივრცე. შეადგინეს სივრცის ხელახალი გამოყენების ახალი სცენარი, რომელიც ითვალისწინებს ნანგრევში კინოეკრანის შემოტანას. ადგილოვრივი მოსახლეობის დახმარებით მოაწყვეს ხრეშის იატაკი, დასაჯდომი ადგილები და მცირე საბაღე კუთხე.
18 სექტემბერს სოფელი ხევის ძველი სკოლის ნანგრევში ჩატარდა პირველი კინოსაღამო ადგილობრივი მაცხოვრებლების და სხვა სტუმრების მონაწილეობით. სადა, შთამბეჭდავი დიზაინი თავად სტუდენტების მძიმე ფიზიკური შრომით რეალიზირდა. სტუდენტებმა ელესიის ძველი ქვებისგან შემოფარგლული სივრცე და კედლები ახალ ღირებულებად აქციეს. „ნანგრევის პოეტიკა“ არა მხოლოდ ფოტოობიექტივისთვისაა ესთეტიური ობიექტი, არამედ იგი რეალური სივრცის მკვიდრია და მას აქვს პოტენციალი მიიღოს სხადასხვა არქიტექტურული სცენარი. ნანგრევს შეუძლია რეალობაში მოულოდნელი დღესასწაულის შემოტანა. ეს დღე შედგა სოფელ ხევში.
ვორკშოპმა აჩვენა სტუდენტებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლების ენთუზიაზმის პოტენციალი - როგორ შეუძლია ადგილობრივ სათემოს საკუთარი გარემოს შეცვლა და მისთვის ახალი ღირებულების მინიჭება. სტუ-ს პროფესორის პროგრამაში მონაწილეობა თანამშრომლობის მაგალითია არა მხოლოდ რიტველდის აკადემიასთან არამედ, ასევე ადგილობრივ სათემოსთან.

ლექციების სერია მალტელ არქიტექტორთან, საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსთან, მალტის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორთან ლინო ბიანკოსთან ერთად

2022 წლის 11-14 დეკემბერი სტუ არქიტექტურის ფაკულტეტზე აკადემიური ვიზიტით იმყოფებოდა პროფესორი ლინო ბიანკო მალტის უნივერსიტეტიდან. ვიზიტის ფარგლებში პროფესორი ბიანკო წაიკითხა 4 ლექცია.

პროფ. ბიანკო 2015 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ჩვენს უნივერსიტეტთან "არქიტექტურის პოეტიკის" საგნის კვლევის და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში დანერგვის მიზნით. ლექციები განსაკუთრებით დააინტერესებთ "არქიტექტურის პოეტიკის" სტუდენტებს, როგორც მოქმედს, ისე წინა წლების.

ლექციების ხანგრძივობა 2სთ (ინგლისურ ენაზე)
თემები:
09.12.2022 (15:00 – 17:00 hrs)
Rm 405c
Defining architecture
12.12.2022 (13:00 – 15:00 hrs)
Rm 405c
Architecture and perception: Between rhetoric and reality
13.12.2022 (16:00 – 18:00 hrs)
Rm 403c
Values in architecture
14.12.2022 (17:00 – 19:00 hrs)
Rm 405c
Beyond geodesign: The architecture of sitesynthesis
აკადემიურიპროგრამა ხორციელდება Erasmus+ პროგრამის ფარგლებში

14 დეკემბერი შეხვედრა საერთაშორისო დეპარტამენტში: დევი ხვედელიანი და მარიკა ზვიადაძე

ლექცია 12 დეკემბერი

პროფესორ ლინო ბიანკოს მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები, რომელიც ეძღვნება საქართველოს

1. BIANCO, L., 2021. Architecture and urban design in contemporary Georgia: A comprehensive review of the work of Shota Bostanashvili. *Historia Urbana, 29, 177-199.*
2. BIANCO, L., 2020. Pedagogy of poetics of architecture in contemporary Georgia. *Astra Salvensis*, **8**(15), pp. 61-74. https://www.um.edu.mt/library/oar/bitstream/123456789/67795/1/Pedagogy_of_poetics_of_architecture_in_contemporary_Georgia.pdf

3. BIANCO, L., 2020. Contemporary Georgian Architectural Theory and Practice: The legacy of Shota Bostanashvili. *ACE: Architecture, City and Environment*, **15**(43), 9019. DOI: http://dx.doi.org/10.5821/ace.15.43.9019

4. BIANCO, L., 2019. Sekhniashvili Nino – Bostanashvili David: Shota Bostanashvili Poetics of Architecture. *XLinguae*, **12**(4), pp. 239-241. http://xlinguae.eu/files/Book_Review_4_2019.pdf
5. BIANCO, L., 2018. From Poetics to Metapoetics: Architecture towards architecture. *Balkan Journal of Philosophy*, **10**(2), pp. 103-114. https://doi.org/10.5840/bjp201810212
6. BIANCO, L., 2017. Shota Bostanashvili, architectural discourse and the foundation of poetics of architecture in Georgia. *Papers of BAS: Humanities and Social Sciences,* **4**(1), pp. 49-59. https://www.um.edu.mt/library/oar/bitstream/123456789/27598/1/Lino%20Bianco_Shota%20Bostanashvili.pdf
7. BIANCO, L., 2016. Butza: Architect Victor Jorbenadze [Book Review]. *The Journal of Architecture,* **21**(3), pp. 459-464. https://www.um.edu.mt/library/oar/handle/123456789/20313

დამატებითი ინფორმაცია მის შესახებ შეგიძლიათ ნახოთ მითითებულ ლინკზე:

https://www.um.edu.mt/profile/linobianco?fbclid=IwAR30mEcb3AHoXdXpaWl8AbHjxF4fMS9A9bly61vqnpeH35-VRPWTwVXoXII

პროექტი - „ოზურგეთის ახალი სიცოცხლე-2022 წ.“

2022 წლის 18 ნოემბერი დაიწყო პროექტი "ოზურგეთის ახალი სიცოცხლე" 18 ნოემბერს ჩვენი მაგისტრები გაემგზავრნენ ოზურგეთში. მადლობა მერს და ვიცე მერს მასპინძლობისთვის. მადლობა პედაგოგებს: ბესო ტატიშვილს, ქეთი სალუქვაძეს, მაია სეხნიაშვილს, ეკა ცინდელანს. განსაკუთრებული მადლობა ფაკულტეტის მენეჯერს ნინო გობეჯიშვილს.

შემეცნებითი გასვლითი პრაქტიკა სტუდენტებისთვის

2022 წლის 26 ნოემბერი ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ბესარიონ ტატიშვილის ინიციატივით მოეწყო სტუდენტური გასვლითი პრაქტიკა ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მარშრუტით მზოვრეთი - ყინწვისი - ურბნისი.

სამეცნიერო კონფერენცია: „არქიტექტურისა და ურბანისტიკის თანამეროვე პრობლემები“

2022 წლის 23 დეკემბერს სტუ-ს არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ოთარ ნახუცრიშვილის ხსოვნას.

კონფერენცია გახსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა ბატონ დავით გურგენიძემ. მისი ინიციატვით პროფ. ოთარ ნახუცრიშვილს მიენიჭა სტუ-ს უმარლესი ჯილდო - „ოქროს მედალი“.





2022 წლის 5, 16,17 და 19 დეკემბერს გაიმართა დისერტაციების დაცვები

გამოხმაურებები დოქტორანტი ნანა ჭრელაშვილი: 5 დეკემბერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვა ბევრად მეტი იყო, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე დოქტორის ხარისხის მიღება. ეს არის ჩემი განვლილი ცხოვრების, ცოდნის და გამოცდილების შეჯამება! ეს არის იმედი იმისა, რომ მომავალში საქართველოში არქიტექტურის, ხელოვნებათმცოდნეობისა და ჟურნალისტიკის საიკეთესო შერწყმის შედეგად გაჩნდება არქიტექტურული პუბლიცისტიკის საგანმანათლებლო მიმართულება! ... ეს არის საკუთარი თავის რწმენა, რომ ყველა ასაკში და ყველა ცხოვრებისეულ მოცემულობაში შეიძლება შეუძლებელი შეძლო, სადაც გულს, ენერგიას და ერთგულებას ჩადებ! ეს არის სტიმული იმ ადამიანებისთვის, ვინც ამ გზის გავლას გადაწყვეტს. გპირდებით, მათთვის ვიქნები საუკეთესო მრჩეველი! ყველა ამ სიკეთესთან ერთად აღმოვაჩინე თავის საქმეზე შეყვარებული ადამიანები, ნამდვილი პროფესიონალები, რომლებიც ამ რთულ გზაზე მამხნევებდნენ, რჩევებს მაძლევდნენ და ძალას მმატებდნენ... თამამად შემიძლია ვთქვა საგანმანათლებლო სივრცეში იშვიათად მინახავს ისეთი ერთობა, მეგობრობა, ჯანსაღი გარემო რაც არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზეა! ამისთვის დიდი მადლობა მათ!... **Nino Imnadze**დეკანს-ნინო იმნაძეს, მარინე მაისურაძეს, დავით ბოსტანაშვილს და არქიტექტორთა და ხელოვნებათმცდნეთა დიდ გუნდს! განსაკუთრებული მადლობა ჩემს რეცენზენტებს: მაია დავითაის და გიორგი ჩართოლანს შრომისთვის, გულწრფელობისთვის, სიმართლისთვის! ... **Maia Davitaia**ქალბატონი მაია, ზუსტად გრძნობდა რას განვიცდიდი ბოლო თვეებში და ძალიან თბილად მეტყოდა: რთულია, მაგრამ არ გადადო რა, რაღა დაგრჩა! ასევე მამხნევებდა ბესო ტატიშვილი... ერთ სიტყვას დამაწევდა: მოასწრებ! და მეც ვიჯერებდი! მადლობა ჩემი სტატიების რეცენზენტებს: მაია ძიძიგურს და ბელა თინიკაშვილს. და მთავარი ადამიანები, ვისი მხარდაჭერაც გადამწყვეტი აღმოჩნდა: დედა, ოთო, თემის ხელმძღვანელი, არქიტექტორი მედეა მელქაძეა**Medea MelkadzeOto Kuchava Gulo Bochorishvili**. ქალბატონ მედეასთან, ოთომ მიმიყვანა. ის მისთვის შეუცვლელი მასწავლებელია! დღეს უკვე ჩემთვისაც! მადლობა მას ამ გზაზე თავდაუზიგავი შრომისთვის და დიდი მხარდაჭერისთვის, ქალბატონ მედეასგან როგორც ადამიანისგან და როგორც შემოქმედისგან უდიდესი გამოცდილება მივიღე. შეუფასებელი იყო ვენაში ჩემი მეგობრის ნესი ჭიჭინაძის, **Nancy Tchitchinadze**ვოლფგანგ ჩიდას და ჩემი რესპოდენტების: ქრისტიან ქუნის და კლიმენს

ჰორაკის მხარდაჭერა. და აუცილებლად უნდა ვთქვა თუ ვინ მომცა დიდი სტიმული ახალ გზაზე მეფიქრა... ეს იყო არქიტექტორი, პუბლიცისტი და ჩემი რესპოდენტი - ვახტან დავითაია და ურბანისტი - ვლადიმერ ვარდოსანიძე. დოქტორანტურაში ჩაბარებამდე სწორედ მათ ვთხოვე გულწრფელი რჩევა... ორივემ დიდი სტიმული და მხარდაჭერა გამომიცხადა! ამ პროცესისთვის, ყველა ცოდნისა და ადამიანური გამოცდილებისთვის ნამდვილად ღირდა უძილო ღამეები, ბრძოლა საკუთარ თავთან, წინააღმდეგობებთან, დროსთან, რომელიც არასდროს მყოფნიდა. დღეს უკან დარჩა ძიების პროცესისგან მიღებული უდიდესი სიამოვნება, მაგრამ ახალი იდეები ახალ ძალას მმატებს... წარმატებას და გამარჯვებას გისურვებთ ყველა წამოწყებაში!

19 დეკემბერი დოქტორანტ ირაკლი ქამუშაძის გამოხმაურება: 3 წლის მუშაობის შედეგი პროფ. ნინო იმნაძის ხელმძღვანელობით და სადოქტორო დისერტაცია თემაზე: ,,ლოგისტიკური ცენტრების არქიტექტურულ- გეგმარებითი თავისებურებათა კვლევა",წარმატებული დაცვა და მოლოცვები...უღრმესი მადლობა კომისიის წევრებს ასეთი შეფასებისათვის და ყველას ვინც მხარში მედგა და გულშემატკივრობდა!!!

17 დეკემბერი მარიამ ღომიძე: გამორჩეული დღე და საპასუხისმგებლო სტატუსი - არქიტექტურის დოქტორი. მადლობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს და განსაკუთრებით არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს თანადგომის, ნდობისა და ყურადღებისთვის. ასევე კოლეგიის წევრებსა და თავმჯდომარეს, ფაკულტეტის დეკანს ქ-ნ Nino Imnadze -ს,

ხელმძღვანელს ჩემს უფროს მეგობარს ქ-ნ Medea Melkadze -ს, რეცენზენტებს ქ-ნ Bella Tinikashvili -ს და Izolda Matchutadze -ს.